


№8 / 2008წ / ყოველთვიური ჩანართი

# შუახევში მოსახლეობამ ადგილობრივ თვითმმართველობას, „ინტელექტთან“ ერთად, შექმნილი მიზნობრივი პროგრამები წარუდგინა



**„ინტელექტმა” პროექტი – „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ (რომელსაც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს) მესამე ეტაპის განხორციელება დაიწყო.**

პირველ ეტაპზე ხდებოდა მუნიციპალიტეტში შემავალი თითოეული თემის მოსახლეობასთან საერთო კრებების ჩატარება, სადაც იკვეთებოდა პრობლემა, რომელიც ამა თუ იმ თემს ყველაზე მეტად აწუხებდა. მეორე ეტაპზე ყველა თემში შემუშავდა მიზნობრივი პროგრამები კრებებზე გამოვლენილ პრიორიტეტული პრობლემების საფუძველზე. ხოლო მესამე ეტაპი მოიცავს მიზნობრივი პროგრამების ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებზე წარდგენასა და საჯარო განხილვას. სწორედ ასეთი შეხვედრა გამართა ,,ინტელექტმა” 8 აგვისტოს შუახევის მოსახლეობასთან, მუნიციპალიტეტში შემავალი თემების საინიციატივო ჯგუფებთან ერთად. შეხვედრაზე საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს იმ პრობლემების მიხედვით შედგენილი მიზნობრივი პროგრამები წარუდგინეს, რომლებიც ,,ინტელექტის” მიერ ორგანიზებულ მოსახლეობის საერთო კრებებზე დასახელდა და რომელთა მოგვარებას ადგილობრივი მოსახლეობა დაუყოვნებლივ ითხოვს.

შუახევის მუნიციპალიტეტში შემავალი 9 თემიდან სამ თემში (შუბანი, უჩამბა და ბარათაული) ავტობუსის პრობლემა აღმოჩნდა ყველაზე პრიორიტეტული; წყალსაყარის, ოლადაურისა და ბარათაულის თემებში მოსახლეობის უმეტესობას ზამთარში დიდთოვლობისას მთავარ გასაჭირს გზის გამწმენდი ტრაქტორის არქონა წარმოადგენს. ზამლეთსა და ჭვანაში შიდა გზები, ხოლო დაბა შუახევში სასმელი წყლის პრობლემაა მოსაგვარებელი.

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემები თემების მიხედვით განსხვავებულია, თემის თითოეული მოსახლისათვის ყველა პრობლემა ერთნაირად მნიშვნელოვანია.

როგორც შუახევის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ჯემალ დიასამიძემ აღნიშნა: „შეხვედრა საინტერესო იყო, რადგან ყველამ საკუთარი აზრი გამოთქვა. მადლობა „ინტელექტს“ ამ საჯარო განხილვის ორგანიზებისათვის. შეხვედრა კარგი იყო, რადგან მოუსმინეთ მოსახლეობას, ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი, კიდევ ერთხელ კარგად დავინახეთ მოსახლეობის პრობლემები. იმედია, მოსახლეობაც და გამგეობაც ამას პრაქტიკაში გამოვიყენებთ. თითოეული თემის წარმომადგენელი აქტიურობდა და მათი სურვილი, რომ საკუთარი თემისთვის რამე გააკეთონ, დღითი დღე იზრდება. თვითმმართველობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. პრობლემების ნაწილი მოგვარდა, ნაწილის მოვაგვარებას ვცდილობთ. ყველაზე სასიამოვნო ის ფაქტია, რომ მოსახლეობამ შეძლო პრობლემების ჩვენამდე მოტანა.“

შუახევის გამგებლის მოადგილე მირზა თურმანიძე: „მადლობა „ინტელექტს“ პრობლემების ასე მასშტაბური მიმოხილვისათვის, ჩვენი რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრისათვის. პრობლემების კვლევა მართლაც საფუძვლიანად მოხდა. გამგეობა კმაყოფილია. ყველა სტრუქტურა ჩაერთვება, რომ ყველა პრობლემა მაქსიმალურად მოგვარდეს. ეს პრობლემები მოსახლეობის წინაშე წლების განმავლობაში იდგა, მაგრამ „ინტელექტმა“ მოსახლეობას ხელისუფლებამდე მისვლის მეთოდი ასწავლა. მოსახლეობა არასამთავრობოსთან გაცილებით თამამი და გახსნილია. მეთოდები საკმაოდ დახვეწილი და მისაღებია ჩვენთვის.“

შეხვედრის კმაყოფილია ზვიად ბერიძეც, რადგან ყველა თემის წარმომადგენელს მიეცა შესაძლებლობა გამოეთქვა საკუთარი გულისტკივილი. ბერიძის თემში პრობლემას წარმოადგენს საავტომობილო გზა: „თუ თემში გზის პრობლემა არ მოგვარდება, იქ ავტობუსიც ვერ ივლის, პრობლემები შეიქმნება სოფელში მოწეული პროდუქტის რეალიზაციიის დროსაც და ტურისტული ინფრასტრუქტურა საერთოდ მოიშლება. მადლობა გამგეობას მოსმენისათვის, „ინტელექტს“ კი – შეხვედრის ორგანიზებისათვის. იმედი მაქვს, გამგეობა ადგილობრივ პრობლემებში კარგად გაერკვა და სამომავლოდ პრაქტიკაშიც აქტიურად გამოიყენებს. მე კი, მოსახლეობას თემში არსებული პრობლემების გადასაჭრელად ყოველთვის დავუდგები გვერდში“ – აღნიშნა ზვიად ბერიძემ.

# კულტურის სახლის რეაბილიტაცია პრიორიტეტთა ნუსხაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „საბიუჯეტო წლის პრიორიტეტების დასადგენად და მიზნობრივი პროგრამების შერჩევის მიზნით, ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მთავრობასთან შეთანხმებით ყოველი ახალი საბიუჯეტო წლისათვის იწყებს კვლევებს სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორში არსებული პრობლემებისა და სოციალური დაკვეთის შესწავლისათვის“. თითქმის ერთი წელია არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ სწორედ ამ კუთხით მუშაობს და იკვლევს იმ პრობლემებს, რომელიც აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში შემავალი თემების მოსახლეობას აწუხებს.

დღეისათვის აჭარისწყლის (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), ზვარეს, მერისის (ქედის მუნიციპალიტეტი), ბობოყვათის (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) და აგარის თემების (ხულოს მუნიციპალიტეტის) მოსახლეობისათვის მოსაგვარებელ პრობლემათა შორის პრიორიტეტს კულტურის სახლის აშენება და რეაბილიტაცია წარმოადგენს.

ბობოყვათის, აჭარისწყლისა და მერისის თემებში კულტურის სახლები მოძველებულია და სრულად რეაბილიტაციას საჭიროებს. წლების განმავლობაში შენობის პერიოდული მოვლისათვის საჭირო თანხების არარსებობამ შენობები სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. ბობოყვათის თემში კულტურის სახლი აშენდა 1954 წელს, მას შემდეგ აქ სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. დაზიანებულია სახურავი, სცენის იატაკი, მოსაბათქაშებელია კედლები, გამოსაცვლელია კარფანჯრები, მოსაწესრიგებელია განათება და შესაძენია კულტურული ღონისძიებებისათვის საჭირო ინვენტარი. ანალოგიურ მდგომარეობაშია კულტურის სახლები აჭარისწყლისა და მერისის თემებში.

რაც შეეხება ზვარესა და აგარის თემებს აქ მოსახლეობა კულტურის სახლის აშენებას მოითხოვს. ზვარეს თემში არსებობს 1949 წელს ხისგან აშენებული ადმინისტრაციული შენობა. იგი აშენების შემდეგ ნაწილობრივ სამჯერ ჩამოიშალა. შენობის პირველი სართული კლუბად გამოიყენებოდა და სწორედ აქ ტარდებოდა კულტურული ღონისძიებები. თუმცა, დღეისათვის ესეც შეუძლებელია, რადგან სცენა ამორტიზებულია. შენობის მეორე და მესამე სართული იმდენად მოშლილია, რომ ზამთარში იქმნება სახურავისა და კედლების ჩამონგრევის საშიშროებაც.

აგარის თემში (ხულოს მუნიციპალიტეტი) კულტურის სახლი საერთოდ არ აქვთ. თემში ხანდაზმულთა ანსამბლ „ბერმუხას“ 7 წევრი ცხოვრობს. ეს უნიკალური შემთხვევაა, რადგან არც ერთ სხვა თემში ამდენი ხანდაზმული, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი ხელოვნების გამოვლენა, ერთად არ ცხოვრობს. კულტურის სახლი კი შესაძლებლობას მისცემს მათ, თავიანთი შემოქმედება ფართო მასებს უჩვენონ, რაც სამომავლოდ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

ზემოხსენებული პრობლემა ერთნაირად აწუხებს ხუთივე თემს, რადგან აღნიშნული პრობლემის გამო, თემებში მთლიანად ჩამკვდარია კულტურული ცხოვრება, არ ფუნქციონირებს ცეკვისა და სიმღერის ჯგუფები, იმ თემებში კი სადაც ფუნქციონირებს, ხელოვანებს საშინელ პირობებში უხდებათ რეპეტიციის გავლა. ცუდი პირობების გამო დაბალია მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობისა, რადგან ყოფილა შემთხვევა, როდესაც ღონისძიების დროს ჩაიმტვრა სცენის იატაკი.

ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარება ხელს შეუწყობს უფრო მეტი ახალგაზრდის ჩართვას კულტურულ ცხოვრებაში, მათი უნარების, ნიჭის გამოვლენას და განვითარებას.

აღნიშნულ პრობლემებზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ინტელექტმა“, თემების საინიციატივო ჯგუფებთან ერთად, უკვე შეიმუშავა მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც ხარჯთაღრიცხვებთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებს გადაეცათ, რათა სამომავლოდ აღნიშნული პრობლემები, პრიორიტეტულ ღონისძიებათა ნუსხაში მოხვდეს.



ბობოყვათის კულტურის სახლი



ბობოყვათის კულტურის სახლის სცენა

## საჯარო შეხვედრა ქედისა და ხულოს მუნიცუპალიტეტებში

„სოფელი სოფელია და პრობლემა ყოველთვის იქნება, მაგრამ ჩვენ პრობლემებს შორის ყველაზე აუცილებელის და სასწრაფოდ გადასაჭრელის მოგვარება გვინდა. კულტურული ცხოვრება ჩვენი სულიერი სამყაროს ერთი დიდი ნაწილია, ამიტომ მერისის თემში კულტურის სახლის რეაბილიტაცია გვჭირდება. იოლია, როცა რაიმე ღონისძიებას შენი თანასოფლელებისთვის აკეთებ, მაგრამ თუ შენი კულტურის სხვაგან წარმოჩენა გინდა, ამისათვის საჭიროა მუშაობა და პირობები, რომ შემოქმედება სტანდარტებში ჩაჯდეს და ღირსეულად წარმოჩნდე საზოგადოების წინაშე“. – განაცხადა ქედის მუნიციპალიტეტში გამართულ საჯარო შეხვედრაზე მერისის თემის საჯარო სკოლის დირექტორმა ზაურ თურმანიძემ. საჯარო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ იყო ორგანიზებული.შეხვედრაზე ქედის მუნიციპალიტეტში შემავალ თემებში არჩეულმა საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებმა, მოსახლეობის საერთო კრებებზე არჩეულ პრობლემების საფუძველზე შექმნილი მიზნობრივი პროგრამები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს წარუდგინეს.

მიზნობრივი პროგრამების განხილვისას, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებმა, ისე მოსახლეობამ ერთხმად აღიარეს, რომ მოსახლეობასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დიალოგის გამართვა სასიამოვნო ფაქტია, „გადაწყვეტილებების მიღების დროს გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის აზრი და მოსაგვარებელი საკითხები ერთი კაცის მიერ კაბინეტში არ გადაწყდება“.

„ინტელქტს დიდი შრომა გაუწევია და მოსახლეობასთან კარგად უმუშავია, რადგან წარმოდგენილი მიზნობრივი პროგრამები სრულყოფილი და დახვეწილია. ჩვენ მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული საკითხები და „ინტელექტის“ მიერ წარმოდგენილი პრობლემები ემთხვევა. მაგრამ ხალხიდან წამოსული ნებისმიერი ინიციატივა ყოველთვის მხარდასაჭერი და ანგარიშგასაწევია“ – აღნიშნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოედგილემ, ოქროპირ ბერიძემ.

საჯარო განხილვით კმაყოფილია ქედის მკვიდრი ანჟელა ვერძაძეც, რომელიც თემის მიერ არჩეული პრობლემის ბედით ბოლომდე დაინტერესდა და მისი გადაჭრის მცდელობის ყველა ეტაპზე აქტიურად მონაწილეობდა.: „მთელი ამ პერიოდის მანძილზე საზოგადოება პესიმისტურად იყო განწყობილი, მაგრამ დღევანდელმა შეხვედრამ ცხადყო, რომ ბევრია დამოკიდებული თავად მოსახლეობაზეც, რაც უფრო აქტიური იქნება საზოგადოება და შეეცდება საკუთარი პრობლემის მოგვარების პროცესს ბოლომდე მიჰყვეს, მით უფრო იოლი იქნება შედეგის მიღწევა.”

მსგავსი შეხვედრა 3 ოქტომბერს ხულოს მუნიციპალიტეტშიც გაიმართა, სადაც აქტიურად იყო წარმოდგენილი მუნიციპალიტეტში შემავალი ცამეტივე თემის მოსახლეობა. საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები მოსახლეობასთან ერთად აქტიურად იხილავდნენ წარმოდგენილ მიზნობრივ პროგრამებს.

„ინტელექტმა“ პრობლემების კვლევა რომ დაიწყო, იმ დროიდან აქტიურად ვიყავი ჩართული პროექტში, კარგად ვიცი, რა შრომა გაიწია. ეს მიზნობრივი პროგრამები და დღევანდელი შეხვედრა კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ხალხის ნება აუცილებლად უნდა აღსრულდეს. გამოკვეთილი პრობლემები აუცილებლად დაგვეხმარება სამომავლოდ ბიუჯეტის შედგენაში” – აღნიშნა ხულოს მუნიციპალური გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური სამსახურის უფროსმა გურამ ჩოგაძემ

საკრებულოს ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარის, ემზარ აბულაძის თქმით, გამგეობასა და საკრებულოში შეიქმნა ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ გამოვლენილი პრობლემების დაფინანსებისათვის თანხების მოზიდვას. „მართალია, ყველა პროგრამა ერთდროულად ვერ დაფინანსდება, მაგრამ ვცდილობთ, პრობლემები ეტაპობრივად მოვაგვაროთ“.

საჯარო შეხვედრის შემდეგ მიზნობრივი პროგრამები თემების საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლების მიერ განცხადების სახით შეტანილი იქნა ადგილობრივ მუნიციპალურ გამგეობებში.

# რა საშიშროებას უქმნის მოსახლეობას მდინარეზე ნაპირსამაგრი დამბების არარსებობა



მდინარე ჩაქვისწყლის სანაპირო

ჩანართის წინა ნომრებში მკითხველი დეტალურად გაეცნო აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში შემავალი თემების პრობლემებს, რომელთა მოგვარება ადგილობრივმა მოსახლეობამ „ინტელექტის“ მიერ, პროექტის – „თემთა მობილიზაციის ინიციატივა“ – ფარგლებში ჩატარებულ მოსახლეობის საერთო კრებებზე პრიორიტეტულად დაასახელა. სასწრაფოდ მოსაგვარებელ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება მდინარეების გაწმენდა და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება, რადგან ეს უკანასკნელი მოსახლეობის სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებს. გაზაფხულსა და უხვი წვიმების დროს მდინარეები კალაპოტიდან გადმოდის და ანადგურებს პირუტყვს, შინაურ ფრინველს, ნათესებსა და საცხოვრებელ სახლებსაც კი.

კახაბრის თემში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) მდინარე მეჯინისწყალი დიდი ხანია საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ მოსახლეობას. მისი კალაპოტი და ხიდების ჩახერგილი ქვეშსათავსები კაპიტალურად არის გასაწმენდი, რადგან წვიმიან ამინდებში მდინარე კალაპოტიდან გადმოდის და თან მოაქვს თემის ტერიტორიაზე გამავალი კანალიზაციის სისტემიდან ჩადენილი ფეკალური მასა.

„წელს, ზაფხულში მორიგი წვიმის შემდეგ ჩემი სახლის პირველი სართული მთლიანად დაიტბორა, წყალმა გასასვლელი რომ ვეღარ ნახა, ფანჯრები დალეწა, გამინადგურდა საოჯახო ნივთები და ნათესები, დამეღუპა პირუტყვი და ეს ასე ხდება ყველა დიდი წვიმის შემდეგ, რადგან კალაპოტია გასაწმენდი“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში კახაბრის მკვიდრმა, რომელიც მდინარე მეჯინისწყლთან ცხოვრობს. დატბორვის საშიშროება მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ემუქრება, აგრეთვე არსებობს საშიშროება ინფექციური დაავადებების გავრცელებისა.

ჩაისუბნის თემს (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) საფრთხეს უქმნის მდინარე ჩაქვისწყალი, რომელმაც დამცავი ჯებირებისა და ნაპირსამაგრი დამბების არქონის გამო, უკვე წაიღო ორი საცხოვრებელი სახლი და მოსახლეობის სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთები. ეს პრობლემა თემს 1991 წლიდან აწუხებს. იმის გამო, რომ პრობლემის აღმოფხვრა თავის დროზე არ მოხდა მდინარემ კალაპოტი შეიცვალა. დღეისათვის ძალიან დაბალია მოსახლეობის სტიქიური უბედურებისგან დაცულობის ხარისხი. თუ პრობლემას დროზე არ მოევლება დანგრევა ემუქრება მდინარის ნაპირზე განლაგებულ 18 საცხოვრებელ სახლს. საფრთხის წინაშე დგას ჩაქვი-ჩაისუბნის საავტომობილო გზაც, რომელიც ჩაქვის ცენტრთან აკავშირებს 300-მდე ოჯახს. აღსანიშნავია ისიც, რომ მდინარე ჩაქვისწყლის გასწვრივ მიედინება ჩაქვის წყალსაცავის მილი, რომლის საშუალებითაც ქალაქ ბათუმის მოსახლეობას მიეწოდება სასმელი წყალი. მდინარეზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩაუტარებლობის შემთხვევაში, მდინარე საფრთხეს შეუქმნის წყალსადენის მილებს და შესაძლოა, ქალაქ ბათუმს შეუწყდეს სასმელი წყლის მიწოდება.

მსგავსი პრობლემის წინაშე დგას ქედის მუნიციპალიტეტში ცხმორისის თემიც, რომელსაც საფრთხეს უქმნის მდინარე „სურნალი“. იგი ადიდების შემთხვევაში აჭარისწყლის შესართავთან მდებარე ორ სახლს დანგრევის საშიშროებას უქმნის. პრობლემა ეხება ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და ცხმორისის თემის ცენტრიდან სოფელ ცხმორისში მიმავალ გზას, რომელიც ემსახურება სოფელში მცოვრებ 180-მდე ოჯახს. გარდა ამისა, მდინარე საფრთხეს უქმნის შესართავთან არსებულ ქვესადგურს, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებს ცხმორისის თემის ყველა, ხოლო დანდალოს თემის რამდენიმე სოფელს.

რაც შეეხება ღორჯომის თემს (ხულოს მუნიციპალიტეტი), მოსახლეობის წინაშე მდინარე ჯამისწყალზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა დიდი ხანია დგას. იმის გამო, რომ თავის დროზე არ მოხდა პრობლემის აღმოფხვრა, მდინარემ შეიცვალა კალაპოტი და მიიტაცა სავალი გზისა და მოსახლეობის სახნავ-სათესი მიწების ნაწილი, დაიბზარა საჯარო სკოლისა და კულტურის სახლის კედლები, ასევე საშიშროება ემუქრება თემის იმ ტერიტორიასაც, სადაც განლაგებულია სოფლის სასაფლაო. დამცავი ჯებირებისა და ნაპირსამაგრი დამბის არარსებობის გამო მდინარის ორივე მხარეს განვითარდა ეროზია. კულტურის სახლსა და სკოლას დაემუქრა დანგრევის საფრთხე. მოსახლეობა სტიქიური უბედურებისგან ნაკლებადაა დაცული. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წინ ზამთარია და მდინარეში წყლის დონე მოიმატებს, პრობლემა ორმაგად სარისკო ხდება.

ზემოხსენებულ თემებში დამბებისა და ჯებირების მოწყობა დაუყოვნებლივ განხორციელებას მოითხოვს, რადგან პერიოდულად ნაპირსამაგრი სამუშაოების არჩატარებამ უკვე დიდი ზიანი მიაყენა მოსახლეობას. თუ დროზე არ მოხდება პრობლემის აღმოფხვრა, მოსახლეობას უფრო დიდი ზარალი მიადგება, შესაძლოა გამოიწვიოს მსხვერპლიც, ხოლო ადგილობრივ თუ ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს ზარალის ანაზღაურება ფინანსურად გაცილებით ძვირი დაუჯდება, ვიდრე თვით ამ პრობლემების აღმოფხვრა.

ზემოთ აღნიშნულ პრობლემებზე მათი დროულად გადაჭრისა და ბიუჯეტში გათვალისწინების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციამ – ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ აღნიშნული თემების საინიციატივო ჯგუფებთან ერთად, უკვე შეიმუშავა მიზნობრივი პროგრამები და ხარჯთაღრიცხვებთან ერთად გაუგზავნა ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების შესაბამის სამსახურებს.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge